

ქიმია

1. რომელი ქიმიური ელემენტია გამოსახული საბავშვო საღებავი რეზინის ეტიკეტზე?


- ა) კალიუმი
- ბ) კალციუმი
- გ) კადმიუმი
- დ) კალა



2. რომელი ელემენტის რიგობრივი ნომერია 23?

- ა) Na
- ბ) Mg
- გ) B
- დ) V

3. მოლეკულების ბურთულოვანი მოდელებიდან, რომელი შეესაბამება წყლის მოლეკულას?



4. ბუნებრივი აირი ძირითადად მეთანისგან (CH_4) შედგება. რომელი ნაერთები მიიღება მეთანის სრული წვის შედეგად?

- ა) CO და H_2
- ბ) CO და H_2O
- გ) CO_2 და H_2
- დ) CO_2 და H_2O

5. მარმარილოს ძირითადი შემადგენელი ნაწილია ნივთიერება, რომლის ფორმულაა:



ეს ნივთიერება მიეკუთვნება:

- ა) ფუძე ოქსიდებს
- ბ) მჟავა ოქსიდებს
- გ) ფუძეებს
- დ) მარილებს

6. მოცემულია ელემენტთა პერიოდული სისტემის ერთ-ერთი უჯრა.

რას გვიჩვენებს რიცხვი 14 ამ უჯრაში?


- I – ფარდობით ატომურ მასას
- II – რიგობრივ ნომერს
- III – ატომბირთვის მუხტის სიდიდეს

- ა) I-ს და II-ს
- ბ) I-ს და III-ს
- გ) II-ს და III-ს
- დ) სამივეს

Si	14
სილიციუმი	4
28,09	8
	2

7. რამდენი ელექტრონი აქვს ფოსფორის ატომს გარე ელექტრონულ შრეზე?

- ა) 1
- ბ) 3
- გ) 5
- დ) 7



8. ერთი და იგივე მასის ქვანახშირის ნატეხი და მისი ფხვნილი დაწვეს სხვადასხვა პირობებში:




- I – ნატეხი დაწვეს ჟანგბადში
- II – ნატეხი დაწვეს ჰაერში
- III – ფხვნილი დაწვეს ჟანგბადში
- IV – ფხვნილი დაწვეს ჰაერში

რომელ შემთხვევაში გამოიყოფა უფრო მეტი რაოდენობით სითბო?

- ა) I და II
- ბ) I და III
- გ) III და IV
- დ) ოთხივე შემთხვევაში ერთნაირი რაოდენობით გამოიყოფა


9. მოცემულია რეაქციის ტოლობა:



ტოლობაში გამოტოვებული ნაერთის ფორმულა იქნება:

- ა) BaSO_3
- ბ) Ba_2SO_3
- გ) BaSO_4
- დ) Ba_2SO_4

10. მოცემულია ქიმიური რეაქცია:



რამდენი მოლი მარილი მიიღება, თუ რეაქციაში შევა 1 მოლი NaOH?

- ა) 1/3 მოლი
- ბ) 2/3 მოლი
- გ) 1 მოლი
- დ) 3 მოლი

სწორი პასუხები:

ამოცანის №	სწორი პასუხი
1	ბ
2	დ
3	ბ
4	დე
5	დ
6	ბ
7	ბ
8	დე
9	ბ
10	ა